



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საქმე №28/2719-14

10 ივლისი, 2014 წელი
თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თავმჯდომარე: ხათუნა არევაძე
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაძე
ვანო წიკლაური

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.

კერძო საჩივრის ავტორი – თ. გ.

მოწინააღმდეგე მხარე – ლ. მ., ნ. კ.

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 მარტის განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, სარჩელის წარმოებაში მიღება.

დავის საგანი – იპოთეკის ხელშეკრულების და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობა

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოარკვია:

2014 წლის 24 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. გ.-მ ლ. მ.-ს და ნოტარიუს - ნ. კ.-ს მიმართ, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.



თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 მარტის განჩინებით **თ. გ.-ს** უარი ეთქვა მოპასუხეების **ლ. მ.-ს** და **ნ. კ.-ს** მიმართ, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის მიღებაზე. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდა ნოტარიუს **ნ. კ.-ს** მიერ 06.02.2014 წელს გაცემული NXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება (ტომი პირველი, ს.ფ. 31-34);

აღნიშნული განჩინების მიღებისას სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც ნათლად და გარკვევით უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ითხოვდა, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობას. როგორც სარჩელშია აღნიშნული, ნოტარიუსმა **ნ. კ.-მ** სააღსრულებო ფურცელში მოვალის გრაფაში შეცდომით მიუთითა **თ. გ.**, რადგან რეალურად მსესხებელია არა მოსარჩელე **თ. გ.**, არამედ **ზ. გ.**, რომლის წარმომადგენელიც სესხის ხელშეკრულების დადების დროს იყო **თ. გ.**. სასამართლომ მიუთითა მოსარჩელე მხარეს, რომ მან მოთხოვნა უნდა დააზუსტოს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ვინაიდან ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარე სესხის ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, არ წარმოადგენდა მოვალეს, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობის საფუძველი ვერ გახდებოდა. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა დაეზუსტებინა, ითხოვდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობას, თუ მის გაუქმებას. აქვე სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარეს რეალურად დავა აქვს კრედიტორ **ლ. მ.-სთან** და არა ნოტარიუს **ნ. კ.-სთან**, რომელიც სააღსრულებო ფურცლის გაცემის დროს ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. მოსარჩელე მხარის მხრიდან დაზუსტებას საჭიროებდა თუ რა მოთხოვნა გააჩნდა ნოტარიუსის მიმართ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასევე დაზუსტებას საჭიროებდა მოპასუხეთა წრე; რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას სესხის და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, როგორც სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რეალურად მხარე სადავოდ ხდიდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულების დაწყებას, ვინაიდან როგორც თავად უთითებდა, მას მოპასუხის მიმართ ვალდებულება შესასრულებელი არ ჰქონდა, ვინაიდან არ იყო მოვალე. აქედან გამომდინარე, მოსარჩელე მხარის ნამდვილ იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა არა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, არამედ ვალდებულების არარსებობის ფაქტის დადგენა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმება; რაც შეეხება ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნას, აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად სასამართლომ აღნიშნა, რომ



მითითებული როგორც ფაქტობრივი გარემოებები, ისე სამართლებრივი საფუძვლები, ბუნდოვანი იყო და საჭიროებდა დაზუსტებას.

ამდენად, სასამართლოს შეფასებით, წარდგენილი სარჩელი არ პასუხობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 მარტის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის საფუძველზეც სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერდა ნოტარიუს ნ. კ.-ს მიერ 06.02.2014 წელს გაცემული NXXXXXXXXX სააღსრულებო ფურცლის აღსრულება.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე 23.04.2014 წ. თბილისის საქალაქო სასამართლოში კერძო საჩივარი წარადგინა თ. გ.-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება (ს.ფ. 39 - 41);

- საჩივრის ავტორი აღნიშნავს, ნოტარიუსის მიერ გაცემულ 2014 წლის 06 თებერვლის სააღსრულებო ფურცელში მოვალედ მითითებულია თ. გ.; იპოთეკის ხელშეკრულების მიხედვით, მსესხებელი არის მესაკუთრე ზ. გ., რომელიც არ ესწრებოდა გარიგების დადებას, ხოლო მის წარმომადგენელს თ. გ.-ს, თანხა არ მიუღია; შესაბამისად, თანხა არ გადასცემია თანხა არც ზ. გ.-ს;

საჩივრის ავტორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ვინაიდან თანხა არ მიუღია არც მესაკუთრეს და არც მის წარმომადგენელს, ამათან, არც სამომავლოდ არ არის იგი განსაზღვრული იპოთეკის ხელშეკრულებაში, სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით უხეშად ირღვევა მესაკუთრის უფლებები;

საჩივრის ავტორის მტკიცებით ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელით უხეშად ირღვევა მესაკუთრის უფლებები;

საჩივარში მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნულია, რომ სასამართლო დაცვის, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი საპროცესო უფლებათა და სარჩელის



წარმოებაში მიუღებლობა და აღსრულების განხორციელება უხეშად არღვევს მოსარჩელის უფლებებს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა, **თ. გ.-მ**, მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 მარტის განჩინების გაუქმება;

სააპელაციო სასამართლომ განიხილა **თ. გ.-ს** კერძო საჩივარი და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს; ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 მარტის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

ამავე კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

სააპელაციო სასამართლო სრულად ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას და დამატებით აღნიშნავს, რომ მოსარჩელემ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი შეადგენს სარჩელის საგანს. სასამართლო განიხილავს სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, რომელსაც სასამართლო ვერც შეცვლის და ვერც გააფართოვებს. სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან, რაც უნდა გამყარდეს კონკრეტული ფაქტებით და მტკიცებულებებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატა განმარტავს, რომ სარჩელში სავალდებულოდ მისათითებელი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები ისევ და ისევ მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას ემსახურება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არასრულ სარჩელს მიიღებს და ფაქტობრივი გარემოებების მხარის მიერ არასწორად მითითებისა და



მტკიცებულებების არქონის პირობებში განიხილავს საქმეს, მაშინ მხარეს სრულყოფილი სარჩელითა და მტკიცებულებათა ერთობლიობით ხელმეორედ მიმართვა იმავე მოთხოვნით, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძველით, აღარ შეეძლება. შესაბამისად, არასრულყოფილი და გაუმართავი სარჩელის წარმოებაში მიღებით და მისი არსებითად განხილვით, მას ერთმევა საკუთარი უფლებისა და კანონიერი ინტერესის ჯეროვანი დაცვის უფლება. აღსანიშნავია, რომ მხარე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უფლებამოსილია, ხელმეორედ მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, ამასთან, აღმოფხვრას ის ხარვეზი, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა. უფრო მეტიც, მხარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯეროვანი სასამართლო სამართალწარმოება მხოლოდ ჯეროვანი სარჩელის პირობებშია შესაძლებელი. შესაბამისად, მას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის გზით ეძლევა შესაძლებლობა სარჩელი კანონით დადგენილი წესით მოამზადოს, რათა არასრულყოფილი სარჩელი არ გახდეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, რითაც მხარეს სასამართლოსათვის იმავე მოთხოვნით, იმავე საფუძველითა და იმავე მხარის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრის უფლება ერთმევა.

ამასთან, მხარეს უნდა განემარტოს მისი ვალდებულების შესახებ, რომ სარჩელის ხელახლა აღძვრის შემთხვევაში, მან უნდა მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც აღნიშნულ დავასთან მიმართებით მტკიცების საგანში შედის. რაც შეეხება მტკიცებულებებს, იგი ვალდებულია თითოეული ფაქტი დაადასტუროს შესაბამისი მტკიცებულებით, ხოლო იმ მტკიცებულების წარმოდგენა, რომლის მოპოვება მისთვის შეუძლებელი გახდება, შესაძლებელია მათი გამოთხოვის თაობაზე სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს, თუმცა, აღნიშნული უფლება არ ათავისუფლებს მოსარჩელე მხარეს ფაქტების მითითებისა და აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი სხვადასხვა მტკიცებულებების მოძიების ვალდებულებისაგან.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელი აღძრულია **თ. გ.-ს სახელით და არა თ. გ.-ს, როგორც ზ. გ.-ს წარმომადგენლის მიერ**; თუმცა სარჩელის შინაარსით და მისი მოთხოვნიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ მხარე სადავოდ ხდის მესაკუთრის და მსესხებლის, **ზ. გ.-ს მიერ**, სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის მიღებას და მიიჩნევს, რომ ვინაიდან ადგილი არ ჰქონია თანხის გადაცემას, შესაბამისად, არ უნდა გაფორმებულიყო იპოთეკის ხელშეკრულებაც; ამ გარემოებაზე მითითებით მხარე მოითხოვს იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობას. **ე.ი. თ. გ.-ს მიერ სარჩელი აღძრულია მსესხებლის და უძრავი ქონების მესაკუთრის, ზ. გ.-ს ინტერესებიდან გამომდინარე**, რისი ნებაც, მისი არსებობის შემთხვევაში, უშუალოდ უნდა გამოავლინოს **ზ. გ.-მ**, თვითონ, ან მისგან უფლებამოსილი პირის მხრიდან შესაბამისი სარჩელის წარდგენის გზით;

იმ შემთხვევაში, თუ მხარე სადავოდ მიიჩნევს მხოლოდ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მოვალედ ნაცვლად – **ზ. გ.-სა**, წარმომადგენლის – **თ. გ.-ს** მითითებას, მის მიერ სარჩელი უნდა აღიდრას შესაბამისი (არა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის) მოთხოვნით.



მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. კერძოდ, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი და იმის გათვალისწინებით, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ბუნდოვანი, სარჩელი არ მიიღო წარმოებაში;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე, არ გასაჩივრდება.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309⁷-ე, 372-ე, 377-ე, 419-ე, 420-ე და 390-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა :

1. თ. გ.-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება;

თავმჯდომარე:

/ხათუნა არევამე/

მოსამართლეები:

/ნატალია ნაზლაიძე/

/ვანო წიკლაური/